თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 08

26 აგვისტო 2024 წ. **ქ. თელავი**

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 28 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი,**

მიხეილ დაღუნდარიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე **ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, მარიამ ლილუაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **აბრაამ მახარიაშვილი, ეთერი გურგენაშვილი;**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, უჩა ჭოტიაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ნატალია ბახსოლიანი, ივანე დალაქიშვილი, მერი მაისურაძე, რუსუდან იმერლიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ლალი მერაბიშვილი** ;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი;**

ა.(ა) ი.პ. თელავის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“ დირექტორი **ზაქარია რაზმაძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, თ.ბოტკოველი;

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი
   12.00სთ-დან -12.05სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

   მომხს. ა. შათირიშვილი
   12.05სთ-დან -12.40სთ-მდე

12.10 სთ-დან - 12.20 სთ-მდე შესვენება

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.40სთ-დან-13.00სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „დაირექტ დებიტ ჯორჯიასათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. ლ.მერაბიშვილი
13.00 სთ-დან - 13.10სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
13.10 სთ-დან - 13.20 სთ-მდე

6. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
13.20 სთ-დან - 13.30 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი
12.00სთ-დან -12.05სთ-მდე

ა.შათირიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ განხორციელებელული ცვლილებები და აღნიშნა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ უჩა ჭოტიაშვილმა პირადი განცხადების საფუძველზე მიმდინარე წლის 16 აგვისტოდან დატოვა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. აღნიშნულ თანამდებობაზე ფრაქციის წევრების მიერ არჩეულ იქნა ფრაქციის წევრი მარიამ ლილუაშვილი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიუ;ლი საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის უჩა ჭოტიაშვილის თანამდებობიდან გადადგომა და აღნიშნულ თანამდებობაზე მარიამ ლილუაშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი
12.05სთ-დან -12.40სთ-მდე

ა.შათირიშვილმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მიერ საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია საკრებულოს წევრის უჩა ჭოტიაშვილის კანდიდატურა. სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრების მიერ აღნიშნულ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა. სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას და აპარატს დაევალათ ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, შესაბამისმა კომისიამ უზრუნველყო ხმების დათვლა (ოქმი თან ერთვის ერთ ფურცლად).

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სანამდატო საპროცედურო და იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულია საკრებულოს წევრი **უჩა ჭოტიაშვილი.**

(აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20(ოცი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08 (რვა) წევრმა:** ბ.რევაზიშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, ა. კუპატაძემ.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ბ.რევაზიშვილმა** კულტურის ცენტრისათვის გახმოვანების აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია გახმოვანების აპარატურის შესყიდვისათვის ამ ოდენობის თანხის გამოყოფა.

ბ.რევაზიშვილის მოსაზრებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა **ზ.რაზმაძემ** რომელმაც აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევის და შესყიდვის ყველა პროცედურა გამჭვირვალეა და ყველას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს პროცესებს. ტენდერის შედეგად კი შესაძლებელია ტექნიკა შესყიდულ იქნეს უფრო დაბალ ფასად.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20(ოცი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08 (რვა) წევრმა:** ბ.რევაზიშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, ა. კუპატაძემ.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „დაირექტ დებიტ ჯორჯიასათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21(ოცდაერთი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07 (შვიდი) წევრმა:** ბ.რევაზიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, ა. კუპატაძემ.

5. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ლ.მერაბიშვილი
12.40 სთ-დან - 12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **22(ოცდაორი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06 (ექვსი) წევრმა:** ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, ა. კუპატაძემ.

6.მოისმინეს: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
13.20 სთ-დან - 13.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **რ.იმერლიშვილმა** ისაუბრა ქ.თელავში ახოხოსპირელის ქუჩაზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აღნიშნულთან დაკავშირებით კი განმარტებები გააკეთა ნ.ბაჩიაშვილმა.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **24(ოცდაოთხი)** წევრმა).**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04 (ოთხი) წევრმა:** ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**